

პადეიან ეთნოგრაფიკი ვაჟა-ფშაველას წინაპრები

(ეთნოგრაფის დღიურიდან)

1956 წლის ზაფხულში ყაზბეგის რაიონში წარმოებულ ეთნოგრაფიული მუშაობის დროს შემთხვევა მქონდა გაცნობილი ერთ-ერთი გამოჩენილი მოხვეის — იაგორ ივანეს ძე ლუღუშაურის პირად არქივს მისი შვილის ილია ლუღუშაურის ოჯახში. სხვა მასალებთან ერთად ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა საინტერესო ხელნაწერმაც, მაგრამ, ვიდრე მას შევხებოდეთ, მოკლედ გავეცნოთ იაგორ ლუღუშაურის პიროვნებას.

იაგორ ლუღუშაური დაიბადა 1870 წლის 3 იანვარს (ძვ. სტ.) ღარიბი გლეხის ივანე ლუღუშაურის ოჯახში. მისი დედა — სალომე უნგულიშვილი ალექსანდრე ყაზბეგის დედასთან, ელისაბედ თახჩინაშვილთან შეზრდილი და დაახლოებული იყო. პატარა იაგორი ალ. ყაზბეგისათვის მოუნათლებლიათ. ქართული წერა-კითხვა იაგორის ალ. ყაზბეგმა შეასწავლა, ხოლო რუსული ენა — სოფლის მწერალმა პავლე ლუღუშაურმა — „ილია მოხვეის“ ფსევდონიმით ხეში კარგად ცნობილი რევოლუციონერისა და პოეტის ნიკოლოზ ლუღუშაურის მამამ.

1905-1907 წ. წ. ი. ლუღუშაური აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. მას ახლო ურთიერთობა მქონდა თავის ნათლასთან და მასწავლებელთან — ალ. ყაზბეგთან. ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში იაგორი საქაოდ ცნობილია, როგორც ალ. ყაზბეგის თხზულებათა შავი პირების გადაშვრი და მწერლის ბიოგრაფის კარგი მცოდნე. იგი აქტიურად გამოეხმაურა ალ. ყაზბეგის გარეშე მოაქცილ დავას და მრავალი საინტერესო ფაქტი გამოამხეურა.

საერთოდ, ი. ლუღუშაური აღეგნებდა თვალს მოხვევთა ყოველდღიურ ცხოვრებას, მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე ბეჭდავდა ლექსებსა და კორესპონდენციებს და შეძლებილადგავარად მნიშვნელოვანი წვლილი შექმნდა თავისი მშობლიური კუთხის კულტურულ ცხოვრებაში, მის არქივში შეზღუდებით სხვადასხვა თემზე დაწერილ ლექსებს, ეთნოგრაფიული ხასიათის ჩანაწერებს, ავტობიოგრაფიულ ცნო-

ბებს, ქართულ მოღვაწეებთან მიწერილი ბარათების პირებს და მოგონებებს. თითოეული ხელნაწერი თავისთავად მნიშვნელოვანი და გამოსადეგია, მაგრამ მათი მიმოხილვა ამჟამად შორს წაგვიყვანდა. ჩვენი მიზანია შევჩერდეთ მხოლოდ ერთ დოკუმენტზე, რომელიც ვაჟა-ფშაველასთან მის შეხვედრას ეხება და დიდი პოეტის გვარის გენეალოგიის გარკვევის საშუალებას იძლევა.

ვაჟა-ფშაველასთან შეხვედრის თაობაზე ი. ლუღუშაურის მიერ ფანქრით დაწერილი „მოგონება“ მოიცავს ჩვეულებრივი რეკულის მ გვერდს. ამას გარდა არსებობს „მოგონების“ მეორე დამოუკიდებელი ვარიანტი და რეკულის უდიდ ნაგლეჯებზე მოთავსებული ორი ფრაგმენტი.

სრული ტექსტისაგან განსხვავებით, დამოუკიდებელ ვარიანტსა და ამ ორ ნაწივეტში გადასმულია მხოლოდ ზოგიერთი წინადადება, რაც მარტო მკითხველს სტილისტურ სხვაობას იძლევა და არა შინაარსობრივ განსხვავებას. ამის მხედველობაში მიღებით, საჭიროდ ვცნობთ მარტო პირველი ვარიანტის შინაარსის იმ სახით გადმოცემას, როგორც ეს ი. ლუღუშაურს აქვს, რათა დოკუმენტმა შეინარჩუნოს თავისი პირვანდელი სახე და დამაჯერებლობა.

ხელნაწერის საერთო სათაურია „მოგონება“, ქვესათაურია — „მე და ვაჟას პირველად გაცნობა 1896 წ.“. ხოლო შემდეგ იწყება თხრობა:

„ჩემ ახალგაზრდობაში ხშირად ვხედავდი გაზრთებში ვაჟა-ფშაველის ფსევდონიმით ლექსებს, მომტებულად შთის და მისი გმირების შესახებ, რომელთაც სიამოვნებით და სიამაყით ვკითხულობდი, როგორც შთის მგოსნის ნაწარმოებს. მისი „მახტრიონი“ ისე შეითვისეს ჩვენმა მოხვეეებმა, რომ ბევრმა ზეპირად შეისწავლეს და ფანდურს დამდერიან. ეგრეთვე ჩემი მასწავლებელი ბელეტრისტი სანდროსავანაც (ალ. ყაზბეგი) მქონდა გავიანილი ვაჟას მოქმედება, რის გამოც სანატრულად მქონდა მას შემდეგ ვაჟას პირადი გაცნობა.

აი, სწორედ ჩემი დღეშეთში სჯამზე ყოფნის

დროს მოულოდნელად ქუჩაში დაეინახე სამი ცხენებზე ზეგამობმული ფშურ ტანსაცმლიანი მანდილოსანი და მათთან ერთად სამი ვაჟაკი. ჩემი უკრადღება მიიპყრო მანდილოსნების შევერცხლილმა ტანსაცმელმა და მათთან ერთად იმ შუატანის ვაჟაკებმა, რომელიც მათთან ჩაცმულობით გამოირჩეოდა. მას ეცვა ჯიგარი (ყავისფერი — ვ. ი.) ჩოხა, ლურჯი ჩერქეზული ქელი და მოდილო შევერცხლიანი ხანჯალი. ესენი ყველანი ერთად შემოვიდნენ იმ სადგურში, სადაც მე ვიმყოფებოდი, როგორც მგზავრი. აქვე იყო სამიკიტნოც, საიდანაც გამოვიდა ნეპატრონე ნ. ჩარაშვილი ხელში გახუთებით და დაუძაბა (როგორც მეგობარს) — ევაჟე! აი შენი გახუთები მხოლოდ დღეს მომიტანეს ფოშტოდანაო, აქ ზემოხსენებული ჩოხოსანი, რომელმაც ჩემი უკრადღება მიიქცია, მივიდა და ჩამოართო გახუთები. მე მაშინ მივხედი, რომ ეს ვაჟაკი უნდა ყოფილიყო ევა-ფშაველი, რამაც დამაინტერესა, როგორც მონატურს, მისი პირადი გაცნობა. საჩქაროდვე ჩემკენ მობრიალდა გახუთების გადაწყვეტი და დამძაბა: ლუღუშაურო! აი ჩვენი ვაჟა, რო ფგონებ ხოლმეო, მონდი გაიყვანი. მე სიამოვნებით მივესალმე მთის არწივ ვაჟას, როგორც მთის მეგოსანს, დაუსახელე ჩემი სახელა, გვარი, ჩამომართო ხელი და ხელგაუშვებმა დამძაბა ვაჟო მე შენი ლექსები წაიკითხე „კვალში“ „მეინეარი და მთიელი“, „ჯივარი“; მოხარული ვარ, რომ ჩვენი სანდროს შემდეგ კიდევ გავიხონე მოხუერ კილოზე ვაკატური ლექსები. ყოჩად, ვაჟო არ გშინებია ეკლიანი გზისაო. და დაუძაბა: „შიში არ იხსნის სიკვდილსა, ცუღია დაღრეჯილობაო“ — ასე თქო ჩვენმა უკრადღემა შოთამ; ჩამავლო ხელი და გამწოია ბინისაკენ, სადაც სწორედ ჩემი ღამის სათვეიც იყო.

— ნიკო! მამა გიცხონდეს, გახუთებული ვარ, როგორც ნამგზავრი, და ამ ორ მთიელს გული გაგვიგრიღე, — დასძაბა ვაჟამ.

— ბატონი ბრძანდებით! — უპასუხა ნიკომ და ისეთი სისწრაფით მიტრიალდა, როგორც ბზრი-აღია. მონაბრუნა ისევ ვაჟამ და უთხრა: — კაცო! შენც ხომ სომეხი არა ხარ, ბატონები სად არიან არ იცი?

— მაპატივე, ჩემო ვაჟავ, დამეინწყდა, — უპასუხა ნიკომ და საჩქაროდვე შემოგვივხანა „ხელადა“ ღვინო კუთვნილი საუზმით, იმ უსი-ნათლო ოთახში, რომელსაც ეწუნობდით. თავისივე ამხანაგ ფშაველებთან, სადაც ვაიხსენა ალ. ყაზბეგი, მასთან ქმური განწყობილება, ხასიათი, თეატრი, ოხუნჯი შაირ-ლექსისაბა.

მეც, რასაკვირველია, უამბე როგორ მანერინებდა თვალს ნაკლდეულობის დროს ნაკუწებიდან თავის ნაწერებს, ბოლო დროს უდიან დიდ რვეულ „ხევის ეეშაში“, 1889 წ-ს.

ვაჟა თავის ამხანაგ ფშაველებთან ერთად მე-

ორე დღეს უნდა გამოცხადებულიყო დუშეთის სასამართლოში.¹

ჩვენმა მუსაიფმა ჩაიარა ტყბილი სიამოვნებით. მრავალი ლექსებით შეამკეთ ის ცოტად ესინათლო ოთახი, რომელიც შემდეგ გავერცხმა. აქვე შემოვიდა ვაჟას კაი მეგობარი ზარათაშვილი (დუშელი), რომელმაც ლექსობაზე წაგვახალისა. მე ვაჟას შევთავაზე პატარა ლექსი:

ნუ დაგველაღვი, პოეტო.
 მთას ნუ დასტოვებ, ბრალა,
 აღარ გექნება ლაზათი,
 არცა ვინ შენი ცალია.
 რას გვარგებს მარტო მკლავები,
 თუ მკლავს არ შანწყევს ძალია,
 თუ არ გექნება მთიელთა
 შენი ნალესი ხმალია?
 — მეც შენ მოგზაჟე, მთიელი,
 შენკენ მეპირა თვალია,
 თუ ჩახმხს კვესა უძტუნა,
 არ აიფეთქებს ფალია.
 ჩვენ რა მოიჭრეთ მოხევეთ?
 უღროდ დაგვარგეთ მწვარი,
 ტანჯულ-ჩაგრული ვრისთვი,
 თვალსრემლიანი, მტრიალი.
 თუშ-ფშავ, ხეესურსა, მოხევეს
 აღარ გვექნება მღერალი.
 სხვა ვინ შეგვიმგობს მთის კალთებს,
 თუ არ თქვენებრი მწერალი.

პასუხი ვაჟას
 მოხევეს ლექსი უხდება,
 შეამკობს მხატვრულ ფურადა;
 მე მისთვის მიყვარს მოხევე,
 რომ სწოველი ვარ ძარადა
 წინაპარ მუჟანდა მოხევე,
 ვეკუთუნა შვილსევილადა! —
 გამოქცევი სიკვდილსა,
 ფშავე რგებთა წილადა.

მისმა ამ სიტყვებმა იქამდის დამაინტერესა, რომ შევეკითხე. ჩემო ვაჟავ — ეს სოფელი სწო სიიდან გამოხატე უეცრი?

ვაჟამ ამ ჩემ გულთან შეკითხვაზე მიპასუხა შემდეგად:

— თავის მეზობელ ფშაველებთან მე მამიჩემისაგან გამოიგონა, რომ ჩვენი წინაპარი ყოფილა ხეცესი, სოფ. სწოდან გამოქცეული, რომელსაც რაღაც ავკაცობა ჩაუდენია. საგვარეულოს გონუძრახია მისი იქიდან გაქეება. თითონეე დუ-

1 რვეულის ყდაზე მოთავსებულ ერთ ფრაგმენტში ი. ლუღუშაური შენიშნა: „... აიამ მოთხრა, რომ მასთან მეოფე მანდილოსნები და ის ორი კაცო მეორე დღეს სასამართლოში უკენდ დაბარებულნი და, როგორც ნათესავეებს, ეთხოვნათ სასამართლოში დახმარება“.

სწერია, გაუტეხია სამლოცველო, გამოუტანია ხატი, ჩაუსვამს გულში, მოუპარაჲ ვისიჲ ცხენი, შემჯდარა და ხევესურეთს მიბრძანებულა. ის იქ დამკვიდრებულა თავის ხატით ისევე ხუცისის ადგილზე. ის უოფლია მოუსვენარი ავი კაცი. აქაჲ აკაკობა ჩაუდენია და შემდეგ ვადმოსულა ფშაჲში. მამანემი იტყოდა — ხუცესობა მოგვიდევსო.

მე მამიჩემის ბებია 130 წლის წინოსიგან მაქვს გავიხილი (მენიშნავს თავის მხრივ ი. ლუღუშაური — ვ. ი.), რომ სწოდან (ძველად საღუღუშაური) გადასახლებულნი არიან სამუხრანოში და ფშაჲში, რომელნიც წინათ სპარსანგლოზობა — თინგუნობაზე აქ მოდიოდნენ სალოცავად. ეგრეთვე სოფ. სწოდან არიან ძველად გადასახლებულნი ლუღუშაურები ხეშვივე — ყაზბეგში და სოონში. არიან საგურამოში და შქადისჯვარში, თვით თბილისში, როგორც დიდი გამრავლებული გვარა, რომელსაც ადგილობრუბარეობამ აღარ შეუწყო ბელი ცხოვრებაში.

ჩემი ვაჟასთან გატნობის მეორე წელს, ვ. ი. 1897 წელს. მოხევე იაგორა ზაგაშვილთან ერთად მოვიხილა ფშაჲში ცხვრის სასყიდად წასვლა, სადაც ზურაბიუ ნადირის სახლში, ქორწილში, შემთხვევით შეგვხვდა თიანეთიდან მომავალი ვაჟა. ჩასაკვირველია ოოივეთ გავიხიარდა. ბუერი სიამოვნების დროს ჩვენთან იყვნენ ჯორწილში დამსწრე ქალებიც, რომელნიც ჩვეულებრივ ფანდურით და ლექსებით გვასიამოვნებ-

1 თაობიდან თაობაში გადასული ამბავი ლუღუშაურებიდან რაზიკაშვილების წარმომავლობისა ვაჟას მამას — პაველ რაზიკაშვილს წერილობით აქვს ფიქსირებული. ის წერს: „ჩვენის გვარის მომდინარეობის დასაწყისი, როგორც ბებისჩემისა და მამისჩემისაგან გამოგონია, სუ ძველისძველათ ხეიდან მოსულან ცაბაერთან (სოფელია ფშაჲში — ვ. ი.). ლუღუშაურები ვართო და მართლაც სწუში (სწოში — ვ. ი.) მე თითონაც მოხევისაგან გავიგონე — ჩვენის გვარისები ხართო — გოგოქურებიო“ [რაზიკაშვილების გოგოქურებად მოხსენიება დაკავშირებულია თქმულების სახით შემონახულ ერთ ამბავთან, რომელიც დამოწმებული აქვს სოლომონ ყუბანაიშვილს (იხ. მისი „ვაჟა-ფშაველა“, 1937 წ. გვ. 6-7) და მას საერთო არა აქვს რა ხევესურ გოგოქურთა საგვარეულოსთან — ვ. ი.]. მისივე ცნობით. ლეკების მუდმივი თავდასხმების გამო. მათ არა ერთგზის გამოუცლიათ საცხოვრებელი ადგილი. რაზიკაშვილების ნაწილი დარისტანსა და ოსმალეთში ტყეუდაც წაუყვანიათ. „ეს რა ნამდვილია. — დასძენს პეღუ. — ამას ის ამტკიცებს, რომ აქ ისევე ტყვე მოსულა დარისტანთ და იმაზე გავთესულბუღვართ. მეტს სახილს იმის მიზნითა ლეკიანთ გვეძახიან“ (დასახლებული წიგნი. ე. 7).

დნენ, სადაც მე და ვაჟაჲ ვიღებდით ცოტა მოწაწილობას. შემდეგ ვაჟამ დაუძახა ერთ მშვენიერ ქალს — ნათელაჲ! თუ ჩემი ხატრი გაქვს, ეს ჩემი მოხევე გამოაღუქსე, ესაც მთიელი პოეტია.

— არა, ჯერ მაგის ლექსი გაივიგონოთ უნდა ჩამოვართვი ჩანგური და, როგორც ცოტათი ნაქორწილარმა, დაემღერე:

კარგა მამიხდა წამასელა,
გზა დავისწავლე ფშაჲვისა,
უცოლო ბიჭი. დაედოვარ,
მონახვა მინდა ქალისა.

ნათელა — რა გამაგონე, მოხევეჲ,
ქალი რად გინდა ფშაჲვისა?
დაწუნებული ეტუობი
თორო ქალი სჯობ ხევისა.

მოხევე — ცხორი ნახარდი ბიჭი ვარ,
ქალი რას მარგებს ხევისა?!
რუსულად ჩაცმა-დახურვა,
ჩვენი ნებაა ქალისა.

მე ფშაველის ქალი მწადია,
გამთენებელი ღამისა,
არ უყოთ ქინძი-ქანძერი,
მაძებარი ვარ ამისა.

ნათელა — გულრი ცხო გიძეს, ეშმაკო
მე შენი ცოდვილ ავიესი.
კაი ვაჟაჲც ეტუობი,
გქონავ ლექსების ხალისი.
ქალთა მუშტარიჲ კაი ხარ,
ქალთ ავიღლეს ხავიწი,
თუ გინდა აქვე მიირთვი,
თუ გინდ საცებად წაისვი.

მოხევე — თავ დამანებეთ, ქალებო,
არა მინდარა შარისა,
საითაც მოვე, იქ წავალ,
არ მეშინია ღამისა.
თოფიც მაქვ. ცხენიც კაი მყავ,
იმედოცა მაქვ მკლავისა.

ნათელა — ეტ-ობი ქალთა მუშტარი,
გქონავ ქალების ხალისი,
შენ სუუველასა შაირთავ,
თუ გინდა შეგხედის თავისი.
ამალამ დარჩი, მგზავრი ხარ,
მეც მაქვ ლექსების ხალისი.
თავ შოგობრალე, მოხევეჲ,
მე შენი ცოდვით ავიესი,
ეს ჩემი თას-ც მიირთვი,
თუ გაქვ ხალისი ამისი.
არ გაწყენინებთ სტუმარ ხარ,
იმედი გქონდეს ამისი.

მოხევე — ცხენს მამიარეთ, ქალებო,
ხატი გწყალობდესთ ფშაჲვისი,
თუ თქვენა წყალობა შექნა,
ჯავრი არა მაქვ ღამისო

ნათელა — ეშმაკ უოფილხარ, მოხევეჲ.
არ გშინებია ავისი.

მამწონხარ ვაჟაკობითაც,
 მე უნდა შავრთა თავისი.
შოხევე — შენ თავ მიტოცხლას, ნათელავ,
 მეც იმედი მაქვ ამისი,
 სიკეთეს სიკეთე მააქვ,
 ავს ეშინოდეს ავისი,
 შენც გაიხარე ნათელავ,
 მეც სიხარულით ავიესი,
 როცა ერთურთსა გაეცინობთ,
 ვიქნებით როგორც თავისი.

აქ ყველათ ტაში დაქრეს, მე და ვაჟის ქალე-
 მმა თასი გვითავაზეს. ვაჟის ოხუნჯობას სამ-
 ძღვარი არა ჰქონდა. ქორწილის პატრონი იყო
 ვაჟას ნათლიამა, რომელმაც დიდი პატივი გვცა.
 ვაჟა ჩვენ ლექსაობას სიტყვასიტყვით სწერდა.
 როდესაც სახალხოდ წაიკითხა ეს ლექსი, ნათე-
 ლამ გადიწერა. ნათელა იყო იმ ოჯახის დისწუ-
 ლი, ვაჟაც კი ცნობილი მოლექსე 22 წლ-სა.

■ **თავარ ლუღუშაური.**

როგორც ვხედავთ, ი. ლუღუშაურის „მოგო-
 ნება“ შრავალმხრივი შინაარსის მომცველია. მის
 მიხედვით ვეცნობით თვით „მოგონების“ ავ-
 ტორის შთაბეჭდილებებს და ვაჟას შემოქმედე-
 ბისადმი დამოკიდებულებას, ვაჟას ხასიათის
 თავისებურებასა და ხალხთან ურთიერთობას,
 შეხვედრის ეპიზოდებს და იქ მომხდარ ამბებს
 და ა. შ. მაგარა ჩვენს განსაკუთრებულ ყურად-
 ღებას იქცევას ის მასალა, რომელიც დიდი პოე-
 ტის გეარის გენეალოგიას არქვეს.

ერთი მხრივ, ი. ლუღუშაურისადმი ვაჟას მიერ
 მიძღვნილი საპასუხო ლექსის დედაბარისა და,
 მეორე მხრივ, „მოგონებაში“ ჩართული ავტო-
 რისეული კომენტარის მიხედვით ამკარავდება,
 რომ ვაჟა-ფშაველას წინაპარი სოფ. სნოდან
 ფშავეში გადასხეწილი ლუღუშაური ყოფილა.

„მოგონების“ შინაარსიდან ყველაფერი ეს
 თვალნათლევ წარმოგვიდგება, მხოლოდ, ამასთან
 დაკავშირებით, ცნობის სახით უნდა დავემბროთ
 შემდეგი: 1951 წლის ზაფხულში ხევეში ეთნო-
 გრაფიული მასალის ჩაწერას ვაწარმოებდი და
 ლუღუშაურის საგვარეულოს გენეალოგიის გა-
 მოკვლევასაც შევეცადე. სათანადო წერილო-
 ბით საბუთების უქონლობის გამო ძირითად წყა-
 როდ გამოვიყენე მოხუცთა მონათხრობი,
 რომლის რამდენიმე ვარიანტის ფიქსაცია-
 შეჯერების საფუძველზე ასეთი სურათი წარ-
 მოგვესახა:

ლუღუშაურთა წინაპარი ყოფილა ვილაც
 სნო. მისი უინაობის საკითხი ბნელით არის
 მოცული, მაგრამ ერთი რამ მაინც ირკვევა —
 პირველი ის დამკვიდრებულა დღევანდელი სოფ.
 სნოს ტერიტორიაზე და სოფლის სახელწოდებას
 მისივე საკუთარი სახელიდან წარმოადგარა
 ხ უ რ თ ი ს ი ს, ს ტ ე ფ ა ნ წ მ ი ნ დ ი ს ა დ ა
 ქ ო ს ე ლ ი ს ანალოგიურად.

სნოს თავი გამოუჩენია ოსების წინააღმდეგ
 დარიალის ზეობაში მებრძოლ ვახტანგ გორგა-
 სალის წინაშე, რის გამო ვახტანგ მეფეს მასთან
 დანათესალება მოუწადინებია და, განზრახვის
 სისრულეში მოყვანის მიზნით, მისი ვაჟი მოუნ-
 თლავს. ნათლობის საჩუქრად მეფეს ბავშვის
 სახელზე გორთანას (ადგილი სოფ. სნოს
 ტერიტორიაზე) ციხე აუშენებია ხოლო ნათლ-
 ლისათვის სახელად ღუღუშაური დაურქ-
 შევია. ღუღუშაური სამი ვაჟის მამა გამხდარა.
 ამთვან ორის სახელი ცნობილია (პაპიაა შიო-
 ლამ).¹ ხოლო მესამე შეილის სახელი მოხრობე-
 ლების შესხიერებიდან გამჟრალა. სამაგიეროდ,
 შემორჩა სახელუცნობი მესამე ძმის ვაჟის —
 ისმელაას სახელი. ამიტომ. ღუღუშაური.
 შთამომავლობის ამ უძველესი განაყოფი-
 ბის საფუძველზე წარმოქმნილი ერთეულების
 სახელწოდებები ცნობილია პაპეთ შიო-
 ლეთ და ისმელე სახით.

თითოეული აქ დასახელებული ერთეული
 დროთა განმავლობაში იზრდებოდა და თავის
 მხრივ ახალ სოციალურ უჯრედებად დანაწი-
 ლებას განიცდიდა. ეს პროცესი, რომელიც, სა-
 ერთოდ, დამახასიათებელია გეარის ბუნების-
 თვის, თაობიდან თაობამდე ვრცელდებოდა
 საღღუშაურის ფარგლებში, რამაც გამოიწვია

¹ ს. მაკალათია წერს, თითქოს „ღუღუშაუ-
 რები თავიანთ წინაპრად თვლიან ცნობილ შიო-
 ლა ლუღუშაურს“ (იხ. მისი „იხილ“, 1934 წ.
 გვ. 95). რაც, სინამდვილეს არ შეეფერება.
 ლუღუშაურებმა ძალიან კარგად იცნან რომ ს.
 მაკალათიას მიერ ნაგულისხმევი შიოლას სო-
 ცოცხლში მათი საგვარეულო მოხეურ გეართა
 შორის უძმლავრეს ერთეულს წარმოადგენდა და
 არა მაშინ მსახებოდა. თუ ს. მაკალათიას დამა-
 ჯერებლად ეჩვენება ეს განცხადება, რაღას
 უშერება ამავე წიგნის 43-ე გვერდზე მოტანილ
 არგუმენტაციას იმის შესახებ, რომ შიოლა ღუ-
 ლუშაურის მოღვაწეობის ხანაში „ღუღუშაური
 ძლიერი გეარი იყო, რომელსაც თავისი მაგარი
 ციხეც ჰქონდა“...და ა. შ. სინამდვილეს კი
 ლუღუშაურების წინაპრად ითვლება ჩვენ მიერ
 დასახელებული სნო, ხოლო მისი შეილის —
 ლუღუშაურის სამი ვაჟიდან — ერთ-ერთი
 მათგანი — შიოლა ამ საგვარეულოს პირველ
 განაყოფთა ერთი შტოგეარის — შიოლეთ მოთ-
 ვედაა აღიარებულა რაც შეეხება არაგვს
 ერისთავების წყალობით გააზნაურებულ შიო-
 ლას, რომელიც ხევეში შევშიოლას სახელითაა
 ცნობილი. იგი მოღვაწეობდა XVII საუკუნის
 პირველ მეოთხედში. მისი გამოცხადება ლუღუ-
 შაურთა წინაპრად კვაიძელდება, რომ ამ გეარის
 ისტორიის სათავედ მხოლოდ XVII საუკუნე
 მიგვეჩნია. რაც სინამდვილის აშკარა გაყა-
 ლებას გამოიწვევდა.

12 გვარისა და 80-ზე მეტი „განაყრობის“ წარმოქმნა...

ხეერთვის ძნელია ისმელეთ გენეალოგიის განვითარების პროცესის ზუსტი და თანმიმდევრული ჩაოჩაყალიბება, მაგრამ შესაძლებელია ამ გაერთიანებაში შემავალი ცალკეული ერთეულების დასახელება. ასეთი ერთეულებია: ჯაბანეი, ლომნიეი, თათულენი, თადილენი, თათარენი, ვასეფენი, ფირანიანი, ვარძუქენი, აქენი, ხევიდან საგურამოში გადასახლებული ისმაილაშვილები და სამუკენი მათმა მეტმა ნაწილმა გვარის სახელი გამოიკვალა და ლუღუშაურების მავიერად განაყრობის სახელის ფუძელ გამოყენებისა და „შვილის“ მიმართბით გვარის ახალი სახელი დაიმკვიდრა. მაგალითად, ფირანიანთ ის ნაწილი, რომელიც ხევი მოსახლობს, ფირანიანიწოდებულად იწერება, ხოლო წარსულწამოსულებიდან ზოგი ფირანიანიწოდებულად და ზოგად ლუღუშაურად.

ამ მხრივ ანალოგიური ვითარება შეინიშნება ვარძუქეთ მაგალითზედაც, ხევი მყოფი მათი ძირითადი ბირთვი ვარძუქაშვილად იწერება. ხოლო შირაქში გადასახლებულმა მცირე ნაწილმა ძველი მდგომარეობა შეინარჩუნა — გვარად ისინი ლუღუშაურები არიან, ხოლო განაყრობის სახელის მიხედვით — ვარძუქენი.

აქენი ძირითადად თავიანთ პირველსაცხევისში არიან დამკვიდრებულნი და აქიაშვილობაზე იწერებიან.

ჯაბანეთ დარტოვეს გვარის უძველესი სახელი — ლუღუშაური და ღღმღე შეინარჩუნეს ყველგან, სადაც კი ისინი მოსახლეობენ (სნოში, ს. თოთში და ხევის ფაოგლებს გარეთ).

ისმელეთ ქვეგანაოფი ისმელნიც კვლავ ლუღუშაურებად იწერებიან და ეს გაერთიანება თავის მხრივ მოიცავს: ლომნიეთ, თათულეთ, თადილეთ, თათარეთ, ვასეფეთ და ფირანიანთ ნაწილს.

ისმელეთ გაერთიანების ყველაზე გაზრდილი და თავის მხრივ მრავალი საგვარო უჯრედის მომცველ სეგმენტირებულ ერთეულად წარმოგვიდგება სამუკენი, რომელიც დანაწილების თავდაპირველ ეტაპად გუესახება მათი მამიშვილობიდან ყაზიეთ, ტუხვეთ და ეფხვეთ გამოსვლა და სოფ. სტეფანწმინდაში დამკვიდრება დამოუკიდებელი უჯრედების სახით. სნოში რჩება იდნიშნული გაერთიანების მთავარი ბირთვი სამუკენი, რომლის წევრები გვარად იმტკიცებენ სამუკაშვილობას. რაც შეეხება სოფ. სტეფანწმინდაში დამკვიდრებულ ერთეულებს, ამათგან პირველი ორი განაყრობა კვლავ ლუღუშაურების გვარს ატარებს, ხოლო მესამე ეფხოშვილობაზე დაიწერა გასული საუკუნის ბოლო ხანებში.

სტეფანწმინდაში დამკვიდრებული ამ სამი

ერთეულის გამოყოფის შემდეგ, გაცილებით გვიან, მოხდარა სამუკეთ ერთ-ერთი წარმომადგენლის — ისმაილი: მის მიერ კაცის მკვლელობა ჩრდილო ოსეთში, რის გამო, როგორც მკვლელი, ისე ისმაილი და მათი ოთხი ძმა (სახელების დადგენა ვერ მოხერხდა) ხევიდან გადახვეწილან. ისმაილი ჯერ მისაქციელში დასახლებულა, შემდეგ ბულაჩაურში, ხოლო საბოლოოდ საგურამოში დამკვიდრებულა და მასა შთამომავლობა, რომელიც დღეისათვის რამდენიმე კომლს შეადგენს, ისმაილაშვილებად დაწერილა.

გადმოცემის თანახმად, ანეც სამუკეთ შროგვარის წევრი იყო რაზიკა ლუღუშაური, რომელიც, სოფლად ჩაღენილი რალაყა დანაშაულის გამო, მთელსა საღუღუშაურთ შერისხა, თავისი ფარგლებიდან გააძევა და, რაკი სამანჩაყილსა და გვარიდან მოკვეთილ პირს თავის სამშობლოში აღარ ეცხოვრებოდა, იძულებული გამხდარა ჯერ ხევეურეთში, ხოლო, იქ ჩაღენილი ახალი დანაშაულის გამო, ფშაუში გადახვეწილიყო. ის დაქორწინებულა ფშაველ ქალზე და მისი შთამომავლობა დაწერილა მისივე საკუთარი სახელიდან წარმოებულ გვარზე — რაზიკაშვილობაზე.

მთხრობელების მტკიცებით, რაზიკას გამძევებელ საგვარეულო ბჰობაში მონაწილეობა მიუღია არაგვის ერისთავების სამსახურში დაწინაურებული შიოლა ლუღუშაურის შიამას. მისი მხედველობაში მიღებით, რომ შიოლა XVII საუკუნის პირველ მეოთხედში მოღვაწეობდა, საფიქრებელია, რომ რაზიკას განდევნა დაახლოებით ამ ხანებში მომხდარიყო. ამ ვარაუდის საშუალებას გვაძლევს ის გარემოება, რომ ბჰობაში მონაწილე აუცილებლად ხანდაზმული უნდა ყოფილიყო. შიოლას შიამას მონაწილეობა კი დასაშუება ან იმ ხანებში, ანდა შიოლას მოკვლის შემდეგ, რადგან ახლაგაზრდა კაცს გვარის თავაცთა რიგებში ყოფნის უფლებით არ შემოსაედნენ. ე. ო. რაზიკას გაძევიბიდან ღღმღე დაახლოებით სამი საუკუნე ჩანს გასული.

სოფ. ყუბანევილის მიერ შედგენილი რაზიკაშვილების გენეალოგია მიედვით (იხ. მისი „ეჟა-ფშაველა“, გვ. 45), ეჟა-ფშაველა რაზიკადან შემვიდე თაობის წარმომადგენელია, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გენეალოგია უწყვეტი სახით არ არის წარმოდგენილი, რადგან ზოგიერთი თაობის შესახებ გადმოცემაში ცნობა არ შემინახულა. უგულვებელყოფილად რომ სამი თაობა შინც ვიგულისხმობთ. მაშინ ეჟა რაზიკადან მეათე თაობის წარმომადგენლად უნდა ჩავთვალოთ. თაობათა ასეთი რაოდენობა კი საშუალოდ 3 საუკუნის სიგრძეზე შეიძლება აითვალოს, თუ ერთი შინდემორტემდე დაახლოებით 30 წელს ვიანგარიშებთ.

ამგვარად, როგორც ვაუ-ფშველას მიერ იაგორ ლუღუშაურთან ნათქვამის, ისე ი. ლუღუშაურის მოწმობითა და ჩვენ ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა, რაზიკაშვილების წინაპარი სალღუშაურის ფარგლებში შემაგალი უძველესი შტოგვარის — ისმელეთ ერთ-ერთი ძველი „განაყოფის“ — სამუკეთ წარმომადგენელი იყო, რომელსაც სახელად ერქვა რაზიკა, და არა ეინმე ლეკის ნაშიერი, როგორც ეს ს. ყუბანეიშვილის წიგნში წარმოდგენილი მასალებიდან ნანს. მისმა შთამომავლებმა მამის სახელი გვარად გაიკეთეს და აქედან დაიწყო რაზიკაშვილების გენეალოგია, როგორც ამის უამრავი შემთხვევა იმავე ლუღუშაურების გაერთიანებაშიც მოხდა და სხვა გვართა ცხოვრების სინამდვილეშიც არაშეიათად მოწმდება. საკუთარი სახელიდან გვარის სახელის წარმოქმნა და ამ გზით ერთი წინაპრიდან მომდინარე თაობათა სხვადასხვა გვარზე დაწერა საყოველთაო მოკლენაა, რასაც ვერც რაზიკაშვილების გვარი ასცდა. თაობიდან თაობამდე გადმოცემის გზით მოღწეულმა ზეპარმა ცნობებმა ჩვენამდე მოი-

ტანეს თავი და ვაქას გვარის გენეალოგიის სიღრმეში ჩაგვახედეს.

ზემოთქმულს ისიც უნდა დაემატოს, რომ ლუღუშაურები რაზიკაშვილებთან დამოუკრების შესახებ საკითხის დასმასაც კი მომაკედლებელ ცოდვად თელიდნენ და ეგზოგამიის დაცვის აუცილებლობას ქადაგებდნენ ერთი საერთო წინაპრიდან წარმომავლობის მოტივით. მათი ერთობის ტრადიცია თავის გამობატულებას პოულობდა, აგრეთვე, რელიგიური დღესასწაულების შესრულებაშიც. როდესაც რაზიკაშვილები სოფ. სნოში ლუღუშაურთა საგვარო დღეობა დაწყობაზე მოდიოდნენ საკლავ-სასმელ-საწიანით, წინაპართა თავდაპირველ სალოცავში ზიარების მიზნით.

ყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ ერწმუნდებით რაზიკაშვილებსა და ლუღუშაურებს შორის ოდესღაც არსებულ ერთობის სინამდვილეში. შემდეგში, ამ ურთიერთობის დარღვევის მიუხედავად, საქორწინო და სარწმუნოებრივი ხაზით ძველი ტრადიცია კვლავ განაგრძობდა სიცოცხლეს.